



# სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები საქართველოში





# სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები საქართველოში

წინამდებარე პუბლიკაცია არის მუნიციპალიტეტებისა და აქტივისტების საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვაზე მუშაობის შედეგი. აქ ჩამოყალიბებული სამოქალაქო ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები შემუშავდა ქართველ პრაქტიკოსთა ჯგუფის მიერ საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის პოლონურ-ქართული პროექტის – „სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განვითარების ინსტრუმენტი საქართველოში“ – ფარგლებში, პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით. ამ სტანდარტების დაცვა, ავტორების აზრით, აუცილებელია სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის განხორციელებისათვის.

ამ მასალის დამატებას წარმოადგენს პრაქტიკული სახელმძღვანელო, სადაც შეგიძლიათ იხილოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით.

# რა არის სამოქალაქო ბიუჯეტი?

სამოქალაქო ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს. ეს არის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით.

მთელ მსოფლიოში არსებობს სამოქალაქო ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი, მაგრამ ყველა მათგანი მიმართულია სახელმწიფო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართვის გაზრდაზე. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების (სკოლის ან კულტურის ცენტრის), რაიონის, ქალაქის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის, ან, როგორც პორტუგალიაში – მთელი ქვეყნის ბიუჯეტი. სამოქალაქო ბიუჯეტი გრძელვადიანი და მუდმივი პროცესია, სადაც მოქალაქეები განსაზღვრავენ პრობლემებს, პრიორიტეტებს და გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს. ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს ამ პროექტებს, ხოლო ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუმცა სამოქალაქო ბიუჯეტი არ არის მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების „მშრალი“ პროცესი. იგი ასევე უნდა იყოს განხილული, როგორც თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების ელემენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას.

# სამოქალაქო ბიუჯეტის მიზნები და დახასიათება

სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების მთავარი მიზანია მოსახლეობის ჩართვა ქალაქის, მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მართვის პროცესებში. იგი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტონ, თუ როგორ გამოიყენონ და გაანაწილონ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ასევე ეხმარება თემის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენაში. დისკუსიის პროცესში მოქალაქეები მონაწილეობენ, როგორც „საკუთარი პრობლემების ექსპერტები“, აყალიბებენ თავიანთ საჭიროებებს და განიხილავენ თემის პრიორიტეტებს, მისი საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით.

**ამრიგად, სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი ემსახურება საზოგადოების განვითარებას, რადგან ხელს უწყობს:**

**საზოგადოების კეთილდღეობას** — პროექტები, რომლებიც ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ პროექტის ავტორების, არამედ კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები. სამოქალაქო ბიუჯეტის მიზანია, პირველ რიგში, ნდობის ატმოსფეროს შექმნა, საზოგადოებაში ურთიერთგაგების დამყარება და, ზოგადად, მოსახლეობის განწყობის გაუმჯობესება.

**ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას** — სამოქალაქო ბიუჯეტი მოსახლეობის მიერ გამოვლენილი ადგილობრივი პრობლემების მოგვარების საშუალებას იძლევა. ძალიან ხშირად, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტები ისეთი პროექტებია, რომლებიც მიმართულია მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაც ყოველდღიური ცხოვრებისათვის ან დასვენე-

ბისათვის კომფორტული პირობების შექმნის საშუალებას იძლევა, მაგალითად, გარე განათება ან ქუჩების ასფალტირება, საბავშვო მოედნების ან დასასვენებელი ზონების მონყობა და სხვა. თუ სამოქალაქო ბიუჯეტი დიდხანს ვითარდება თემში, მომდევნო წლებს მოაქვთ ე.წ. რბილი პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია უფრო განათლებისა და კულტურის საკითხებთან.

**ფულადი სახსრების სამართლიან განაწილებას** — სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში მონაწილეობის მიღება და პროექტის წარდგენა შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, მოქალაქეები თავად წყვეტენ, რაში დაიხარჯება ის ფული, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარკვეული პროცენტულობის მიხედვით, წინასწარ შემუშავებულ და დადგენილ დასახლებულ ზონებზე თანაბრად არის გამოყოფილი. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან შედარებით, ეს ფულადი სახსრების უფრო სამართლიანი განაწილების საშუალებას იძლევა.

**ურთიერთობების გაუმჯობესებას** მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, ასევე მოქალაქეებს შორის — სამოქალაქო ბიუჯეტში ერთობლივი მონაწილეობა ქმნის პირობებს მოსახლეობის ინტეგრაციისთვის, რადგან მას უწევს ურთიერთობა პროექტის მომზადების დროს, თანამოაზრეების ძებნისას და პროექტების შერჩევის პროცესში. საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას პოზიტიური წვლილი შეაქვს მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში, რადგან ისინი იწყებენ ერთმანეთის უკეთ გაგებას: მოქალაქეები უფრო მეტს იგებენ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის შესაძლებლობებსა და შეზღუდვების შესახებ, ხელისუფლების ორგანოები კი — მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემების შესახებ.

**სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართვას** — სამოქალაქო ბიუჯეტი არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ადგილობრივი თემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთდროულად ჩაერთონ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. განსაკუთრებით ისინი, ვინც მარგინალიზებულია/გარიყულია — იძულებით გადაადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვ.

**თემების შექმნას** — სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს ქუჩის, კვარტლის, ქალაქის ან სოფლის დონეზე ადგილობრივი საზოგადოების ფორმირებას. პროექტების წერის პროცესში მონაწილეობა და განხორციელების მონიტორინგი აერთიანებს ხალხს საერთო მიზნის გარშემო.

**ცოდნის ამაღლებას** — სამოქალაქო ბიუჯეტის ყველა ეტაპზე მონაწილეობის მიღება ხელს უწყობს ყველა ჩართული ჯგუფის ცოდნის ზრდას. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები იძენენ მოსახლეობასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების, რთული სიტუაციების მართვისა და გადანყვეტილებების მიღების უნარებს. მოსახლეობა კი, თავის მხრივ, იწყებს უკეთ გარკვევას მუნიციპალიტეტის კომპეტენციებში, ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული მმართველობის ნიუანსებში.

**მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდას** — ცოდნის ამაღლებასთან ერთად, სამოქალაქო ბიუჯეტის ერთ-ერთი მიღწევაა მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდა. სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში მოქალაქეები იწყებენ იმის გაგებას, რომ მათ გარშემო არსებული გარემოს მდგომარეობა დიდწილად მათზე არის დამოკიდებული და არა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებაზე.

საზოგადოების კეთილდღეობა  
ადგილობრივი პრობლემების გადაჭრა  
ფულადი სახსრების სამართლიანი განაწილება  
ურთიერთობების გაუმჯობესება  
სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართვა  
**თემების შექმნა**  
ცოდნის ამაღლება  
მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდა

# სამოქალაქო ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ძირითად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჩართვას მუნიციპალიტეტის განვითარების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების და ადგილობრივი თემების ფორმირების პროცესში. ქვემოთ ჩამოთვლილია პრინციპები, რომელთა დაცვის გარეშე შეუძლებელია სამოქალაქო ბიუჯეტზე საუბარი, კერძოდ:

## საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა

სამოქალაქო ბიუჯეტის არსი ისაა, რომ მოსახლეობა განსაზღვრავს თავიანთ საჭიროებებს, პრიორიტეტებს და თავად წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა იყოს განხორციელებული. მუნიციპალიტეტმა უნდა მოამზადოს ეს პროცესი და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური დახმარება და მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## პროცესის შედეგების სავალდებულო შესრულება (ხელისუფლების მიერ)

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში პროექტების შერჩევის შედეგები აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი ადგილობრივ ბიუჯეტში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი მზადდება აღმასრულებელი ორგანოს (მერის) მიერ და საბოლოოდ მიიღება საკანონმდებლო ორგანოს (საკრებულოს) მიერ. იმისათვის, რომ სამოქალაქო ბიუჯეტი იყოს მოსახლეობის ჩართვის რეალური ინსტრუმენტი, იგი უნდა შეიცავდეს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში განსახორციელებლად შერჩეულ პროექტებს იმ ფორმატით, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის მიერ შერჩეულს.



## პროცესის გამჭვირვალობა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი უნდა განხორციელდეს ნათლად და გამჭვირვალედ განერილი წესების შესაბამისად, რომლებიც მოსახლეობისთვის უნდა იყოს ცნობილი პროცესის დაწყებამდე და არ უნდა იცვლებოდეს პროცესის განმავლობაში (წლიური ციკლის ფარგლებში). პროცესის ორგანიზატორებმა ასევე უნდა უზრუნველყონ მისი ეტაპებისა და პირობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

## ლიაობა და ხელმისაწვდომობა ყველასათვის

სამოქალაქო ბიუჯეტი უნდა ეფუძნებოდეს მოქალაქეებისათვის ხელსაყრელ პროცედურებს და მისმა ორგანიზატორებმა ყველა მსურველს საშუალება უნდა მისცენ, ჩაერთოს პროცესში სხვადასხვა ეტაპზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ჯგუფების ინფორმირება პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

## სატარო დისკუსიების უზრუნველყოფა

სამოქალაქო ბიუჯეტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროექტების წარდგენით ან კონკურენტ პროექტებს შორის ერთ-ერთის პლებისციტის გზით შერჩევით. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა უნდა იყოს მოქალაქეებს შორის საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ სხვადასხვა ეტაპზე ჩატარებული დისკუსიების შედეგი.

## მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა

სამოქალაქო ბიუჯეტი უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის აქტიურობას და უნდა მისცეს მოქალაქეებს რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა და სივრცე თანამშრომლობისათვის, მათ შორის, ადგილობრივი საჭიროებების განხილვის, პროექტების მომზადების, ხარჯების პრიორიტეტების განხილვის და პროექტების შერჩევის ეტაპზე გარკვეული პროექტების მხარდაჭერის განევის დროს.

## გრძელვადიანი ხელვა და პროცესის მდგრადობა

სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის შესახებ გადანყვეტილება უნდა იყოს კარგად გააზრებული და დაფუძნებული იმ აზრზე, რომ იგი წარმოადგენს ადგილობრივი თემის ფუნქციონირების შესახებ გადანყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობის რეგულარულ მექანიზმს. ამ მექანიზმის ფუნქციონირება უნდა უკავშირდებოდეს სტრატეგიულ აზროვნებას მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების შესახებ.


## სხვადასხვა ჯგუფისა და დანუსაბულების ჩართვა – ინკლუზიურობა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ თემში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის მონაწილეობა. ისე უნდა ჩამოყალიბდეს მისი პირობები და მომზადდეს მასალები, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს ჩართვა. კარგი იქნება, თუ საწყის ეტაპზე და მთელი პროცესის განმავლობაში, როგორც პარტნიორები, ჩაერთვებიან ის არსებული დანესებულებები და ორგანიზაციები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგულაციების შემუშავებაში, საინფორმაციო კამპანიის ჩატარებასა და პროცესის მონიტორინგში.

# სამოქალაქო ბიუჯეტის ეტაპების სტანდარტები (პრინციპები)

სამოქალაქო ბიუჯეტის მიზნები და პრინციპები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით - სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პროცესები განსხვავდება პროექტების წარდგენის, მათი განხილვისა და შერჩევის ორგანიზების მეთოდით. მთელი პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს მთელ მუნიციპალიტეტში ან, მაგალითად, მის გარკვეულ ნაწილებში ან დასახლებებში. პროცედურის საბოლოო ფორმასთან დაკავშირებული გადანაცვლებები უნდა იყოს ადაპტირებული ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგალითად, მუნიციპალიტეტის სიდიდის, ბიუჯეტის ოდენობის, მოსახლეობის მრავალფეროვნების ან მცირე თემების დონეზე იდენტიფიცირების ძალის შესაბამისად.

გარდა განსხვავებისა, არსებობს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის დანერგვის გარკვეული ეტაპები, რომლებიც ნათლად არის ასახული ქვემოთ მოცემულ სქემაზე.



სამოქალაქო ბიუჯეტის ყოველი ეტაპისათვის შეიძლება განისაზღვროს აუცილებელი პრინციპები - სტანდარტები, რომელთა დაცვის გარეშე პროცესი არ შეესაბამება სამოქალაქო ბიუჯეტის არსს.

## პირველი ეტაპი

## პროცესის მომზადება

**1** მუნიციპალიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის შესახებ და აცნობებს ამის შესახებ საზოგადოებას, მათ შორის:

- განსაზღვრავს თანხას, რომლის ხარჯვის მიზნობრიობას ადგენს თავად მოსახლეობა;
- განსაზღვრავს კომპეტენციის სფეროებს, რომლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტები;
- განსაზღვრავს სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების დონეს - მთლიანი მუნიციპალიტეტი, მისი ნაწილი ან ქალაქი;
- განსაზღვრავს პროცესის ვადებს.

**2** მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე აქტიური მოქალაქეებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მრჩეველთა საბჭოსა და საკრებულოს წევრებისგან მუნიციპალიტეტი ქმნის ჯგუფს, შეიმუშავებს სამოქალაქო ბიუჯეტის მიზნებს, რეგულაციებს და საბიუჯეტო პროგრამას.

**3** სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციები და პროგრამა ოფიციალურად უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული, აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

**1** საინფორმაციო კამპანია უნდა ტარდებოდეს მთელი პროცესის განმავლობაში და მის ყველა ეტაპზე.

**2** საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად საჭიროა ყველა შე-საძლო რესურსის (ადამიანური, ფინანსური და არაფინანსური) მობილიზაცია.

**3** ყველა საინფორმაციო მასალა - ეტაპების შესახებ მიმდინარე სიახლეები უნდა განთავსდეს ერთ სივრცეში, მუნიციპალიტე-ტის ვებგვერდზე.

**4** საინფორმაციო კამპანიის განხორციელების პროცესში ჩართუ-ლი უნდა იყვნენ საზოგადოებრივი პარტნიორები - არასამთავ-რობო ორგანიზაციები, მრჩეველთა საბჭო, აქტივისტები.

**5** საინფორმაციო კამპანია უნდა იყოს მორგებული მუნიციპალი-ტეტის სპეციფიკაზე და მასში მცხოვრები მოსახლეობის ჯგუფ-ზე. მასალები მომზადებული უნდა იყოს მოსახლეობის ყველა ჯგუ-ფისთვის მარტივ, ხელმისაწვდომ და გასაგებ ენაზე.

## მესამე ეტაპი

## პრიორიტეტების გამოვლენა

(შეიძლება იყოს ჩართული მეოთხე ეტაპში)

**1** გამჭვირვალედ, მოსახლეობის მონაწილეობით, უნდა გამოვლინდეს ძირითადი პრობლემები და პრიორიტეტები.

**2** გამოვლენილი ძირითადი პრობლემებისა და პრიორიტეტების შესახებ უნდა ეცნობოს ფართო საზოგადოებას.

**3** გამოვლენილ ძირითად პრობლემებსა და პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტი იყენებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში, პრიორიტეტების დოკუმენტსა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

## მეოთხე ეტაპი

## პროექტების შემუშავება და წარდგენა

**1** განაცხადების წარდგენის სისტემა და ვადები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და მოსახლეობისთვის მისაღები.

**2** მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მოსახლეობის დისკუსიის წარმართვას.

**3** მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს ეხმარება და უზრუნველყოფს კონსულტაციებით. ამ პროცესში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვებმაც, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

**4** ეტაპის დასრულებისას საჭიროა წარმოდგენილი პროექტების სიის შედგენა და გასაჯაროება.

**1** პროექტების ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა განყოფილების სპეციალისტების და, საჭიროების შემთხვევაში, მონვეული სპეციალისტების ჩართულობით, და იმ პროგრამების გათვალისწინებით, რომლებიც მუნიციპალიტეტში უკვე არსებობს.

**2** პასუხისმგებელი მოხელეების ფუნქციაში შედის მხოლოდ პროექტების ვერიფიკაცია რეგულაციების კრიტერიუმების შესაბამისად და არა შეფასება.

**3** ვერიფიკაციის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი და გამოქვეყნებული იმ პროექტების სია, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია, ასევე იმათი, რომელთა განხორციელება ვერ მოხერხდება - მიზეზის დასაბუთებით.

**4** იმ პროექტების ავტორები, რომლებმაც ვერ გაიარეს ვერიფიკაცია, ინფორმირებული უნდა იყვნენ შედეგების თაობაზე.



**1** პროექტების შერჩევა განხორციელებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ – კონსენსუსის ან კენჭისყრის გზით.

**2** პროექტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და მკაფიოდ განერილი რეგულაციებში.

**3** პროექტების შერჩევის პროცედურამდე მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა და საკმარისი დრო იმისათვის, რომ გაეცნოს პროექტებს. ავტორებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააკეთონ პრეზენტაცია, პროექტის რეკლამა და მონაწილეობა მიიღონ პროექტების შესახებ დისკუსიებში.

**4** მუნიციპალიტეტი აცნობებს პროექტის ავტორებს და მოქალაქეებს შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა.

**5** კონსენსუსის გზით შერჩევის დროს მოქალაქეებისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი დისკუსიის შესაძლებლობა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და დეპუტატების მონაწილეობის გარეშე. მნიშვნელოვანია შეხვედრის ფასილიტაცია და პროექტების შერჩევის დროს შემუშავებული პრიორიტეტების გამოყენება.

**6** ავტორები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები თვალს ადევნებენ პროექტების შერჩევის პროცედურის განხორციელებას.

**7** პროექტების შერჩევის შედეგები უნდა ეცნობოს ფართო საზოგადოებას.



**1** ყველა შერჩეული პროექტი უნდა იყოს შეტანილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და განხორციელებული რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში.

**2** სამოქალაქო ბიუჯეტის შედეგებს (გამოვლენილ პრიორიტეტებს, პროექტებს, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია) მუნიციპალიტეტი იყენებს ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მათ შორის პრიორიტეტების დოკუმენტში და სტრატეგიულ დოკუმენტებში.

**პროცესის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება**

**1** პროექტებში ცვლილებების შეტანის საჭიროებისას, აუცილებელია მათი შეთანხმება ავტორებთან და შესაბამისად, ავტორები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამის შესახებ.

**2** მუნიციპალიტეტი აცნობებს მოსახლეობას პროექტების განხორციელების ეტაპების თაობაზე.

**3** უნდა ტარდებოდეს სამოქალაქო ბიუჯეტის მთლიანი პროცესის, სამუშაოთა შესრულების ხარისხის მონიტორინგი და მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასება.

**4** პროექტების განხორციელების მონიტორინგში ჩართული უნდა იყვნენ მოქალაქეები და საზოგადოებრივი პარტნიორები.

**5** უნდა გაკეთდეს სამოქალაქო ბიუჯეტის მთლიანი პროცესის შეფასება, რომელიც მომავალი წლისთვის მისი მომზადების საფუძველი გახდება.

# დოკუმენტზე მუშაობდნენ:

**ვლადიმერ აბრამიუკ** - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორის ასისტენტი საქართველოში, მუნიციპალური დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორი და ექსპერტი

**მამუკა აბულაძე** - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**მიხა ასლიკიანი** - აქტივისტი, მარნეული

**ლიანა ბაზიკიანი** - თარჯიმანი

**ლევან ბინაძე** - საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ჭიათურა

**დავით ჭიკაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი

**ლაიონიდ დონოს** - თანამშრომლობის პოლუნურ-უკრაინული ფონდი PAUCI, ტრენერი და ექსპერტი

**ოლგა დორთინა** - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორის ასისტენტი საქართველოში, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პროგრამების მენეჯერი

**ოლგა ენქელაძე** - არასამთავრობო ორგანიზაცია „მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება“, მარნეული

**ნინო გოლოშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი

**ანა ჯაბისაშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაცია «ქართლოსი», გორი

**დავით ხოსრუაშვილი** - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია (სათეფა) /AFOGSU

**ელენა კრავცოვა** - სამოქალაქო ბიუჯეტის ლოკალური კოორდინატორი წყალტუბოში

**ურშულა მაივსკა** - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორი საქართველოში, ექსპერტი

**მარინა კუპაბაძე** - სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი, ბორჯომი

**დავით ნიკუაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომელი

**ეკა ნოზაძე** - სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი, ბორჯომი

**ბადრი პავაპა** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი

**ევა სტოპუშკა** - ქალაქ გვინიას სოციალური ინოვაციების ლაბორატორია, ტრენერი და ექსპერტი (პოლონეთი)

**ელჰაბა შვიდროშკა** - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

**თეონა ტყეშელაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი

**იანო ნიკლაური** - აქტივისტი გორიდან, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი - 2016-2017 წწ.



საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები ჩამოყალიბდა ქვეყანაში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის ოთხნობიანი გამოცდილების საფუძველზე პოლონურ-ქართულ პროექტების ფარგლებში საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის პოლონეთის „განვითარების თანამშრომლობის პროგრამის“ (პოლონეთის დახმარება) მხარდაჭერით. სტანდარტების შემუშავების პროცესი ხორციელდებოდა პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით და ნაწილობრივ ეყრდნობა პოლონეთში დანერგილ სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტებს, რომელიც შემუშავებულია ფონდის კვლევისა და სოციალური ინოვაციების ლაბორატორია „სტორნია“-ს მიერ.



Solidarity Fund PL



პოლონეთის დახმარება



პროექტი თანადადინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების აზრს და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას.